



პროგრამების განვითარების მიზნით, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი და შედეგების გამოყენების ანგარიში

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამები სრულად შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას. თითოეული პროგრამა მიზნად ისახავს ქვეყნის, რეგიონის შრომის ბაზარზე ორიენტირებული, მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადებას, რომელიც შეძლებს პროფესიულ წინსვლას, საზოგადოების განვითარებაში დადებითი როლის შესრულებას და ცოდნის გამოყენებას თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად.

ბხსუ-ს ყველა პროგრამა ექვემდებარება გარე ექსპერტიზას, კოლეგიალურ შეფასებას, ასევე დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა გამოკითხვას, რომლის ანალიზის შედეგები განიხილება პროგრამის განვითარებისათვის. საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიზნით პროგრამის განმახორციელებელი სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან აკადემიური პირები, სტუდენტები, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლები, გარე შეფასების შედეგებით მიღებული რეკომენდაციების, წინადადებების, სურვილების გთავალისწინებით ახდენს პროგრამის მოდიფიცირებას, პროგრამის შემადგენელი სასწავლო კურსების მიზნების, შინაარსისა და შედეგების, კრედიტების, მეთოდოლოგიის და სხვ. კომპონენტების დაზუსტებას, განსაზღვრავს ან ახალი სასწავლო კურსების შემუშავების, მატერიალური რესურსების განვითარებისა და სრულყოფის აუცილებლობას.

კვლევის შედეგად წარმოჩნდა, რომ სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი 89% დასაქმებულია კვალიფიკაციის შესაბამისად. ისინი წარმატებით იყენებენ უნივერსიტეტში მიღებულ ცოდნას პროფესიულ საქმიანობაში, რაც მიუთითებს სასწავლო პროგრამების შინაარსობრივ შესაბამისობაზე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. სახელოვნებო საშემსრულებლო პროგრამების კურსდამთავრებულები ინტეგრირებულნი არიან ადგილობრივ და რეგიონულ სახელოვნებო დაწესებულებებში - თეატრებში, ტელევიზიებში, კინოსტუდიებში, მუზეუმებსა და სამხატვრო გალერეებში, ზოგიერთი მათგანი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას სათანადო სერტიფიკატის მოპოვების საფუძველზე, დასაქმებული არიან საჯარო სკოლებში, სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებში.

**საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: სამსახიობო ხელოვნება
(დრამისა და კინოს სამსახიობო, დრამისა და თოჯინების თეატრის სამსახიობო)**

პროგრამის კურსდამთავრებულები თითქმის სრულად დასაქმებულნი არიან სახელმწიფო თეატრებში და კერძო შემოქმედებით პროექტებში, რაც მიუთითებს სცენაზე, სატელევიზიო სივრცეში და სხვა შემოქმედებით პლატფორმებზე სამემსრულო საქმიანობისათვის საჭირო უნარების ფლობაზე.

პროგრამის მიზნების განსაზღვრისას, პროგრამის შემუშავებაში ჩართული აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლების, სტუდენტების, კურსდამთავრებულების მოსაზრებებთან ერთად, გათვალისწინებულია ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებიც, რომელთა კვლევა ხორციელდება დამსაქმებელთა გამოკითხვებითა და უშუალო გასაუბრების გზით. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, რომ გაფორმებული მემორანდუმების საფუძველზე სტუდენტები საწარმოო პრაქტიკას გადიან ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრსა და ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიულ სახელმწიფო თეატრში. ბოლო პერიოდში განხორციელდა რამოდენიმე კოლაბორაცია იუსუფ ზოიძის სახელობის ხულოს სახელმწიფო დრამატული თეატრის დასში. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, სტუდენტებისა და დამსაქმებლების მჭიდრო კომუნიკაცია არის საფუძველი იმ ცვლილებებისა, რომელიც ასახულია საგანმანათლებლო პროგრამაში. მაგალითად, პრაქტიკული მეცადინეობების რაოდენობრივი ზრდა ისეთ სასწავლო დისციპლინებში, როგორცაა მსახიობის ოსტატობა, სასცენო მოძრაობა, მეტყველების კულტურა, ვოკალი, რიტმიკა და გახმოვანების ოსტატობა. დამსაქმებელთა მოსაზრებებით ასევე მნიშვნელოვანია, რომ მსახიობი იცნობდეს კამერასთან მუშაობის სპეციფიკას, გრიმის ხელოვნების საფუძვლებს, ეტიკეტის ნორმებს. მნიშვნელოვანია, ისიც, რომ დამსაქმებლები ჩართული არიან საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისიური წესით შეფასებაში. პროგრამის ძლიერ მხარეს წარმოადგენს ის, რომ პარტნიორული ორგანიზაციები (სსიპ ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრი; სსიპ ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული თეატრი, ხულოს თეატრი) მუდმივად უწევენ სტუდენტებს კონსულტაციებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით, როგორც უნივერსიტეტში, ასევე საწარმოო პრაქტიკის ობიექტზე.

გამოკითხვის მიზანია სპეციალობით დასაქმებულ კურსდამთავრებულთა აზრის შესაწავლა და იმის დადგენა, თუ რას მიიჩნევენ ისინი სპეციალობით დასაქმების ხელშემწყობ და ხელისშემშლელ ფაქტორებად, რამდენად არის თანხვედრაში პროგრამის დაუფლების შედეგად უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა და უნარები შრომის ბაზრის მოხონებთან, რომელი კომპეტენციები გამოადგათ მათ ყველაზე მეტად და რომელი საჭიროებს დამატებით გაძლიერებას. კურსდამთავრებულთა მოსაზრებით სამსახიობო ხელოვნებისათვის დამახიათებელი სპეციფიკიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ისეთი უნარების გამომუშავება, როგორცაა მკაფიო და ეფექტური კომუნიკაცია, პრაქტიკულ საქმიანობაში ავტონომიურობის დემონსტრირება, ჯგუფში ეფექტურად მუშაობის უნარი, პასუხისმგებლობის აღება თავის და სხვის მიერ შესრულებულ სამუშაოზე, დროის ორგანიზებისა და სამუშაოების პრიორიტეტების გამოკვეთის უნარი. ამ უნარების გამომუშავების მიზნით, კურსების სილაბუსებში გათვალისწინებულია თეორიული სწავლებისა და პრაქტიკული საქმიანობის თანაფარდობა. აღნიშნული შემოქმედებით-სამემსრულებლო უნარების მისაღწევად, თითოეული სასწავლო კურსში გათვალისწინებულია სწავლების შესაბამისი მეთოდები და აქტივობები. სტუდენტები,

გარკვეული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, ასრულებენ სხვადასხვა სახის პრაქტიკულ დავალებებს, რაც საშუალებას აძლევთ ცალკეული შესასრულებელი პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისას შეიძინონ კონკრეტული პრაქტიკული უნარ-ჩვევები და გამოიყენონ კონკრეტულ სიტუაციაში.

სტუდენტთა გამოკითხვების საფუძველზე სასწავლო პროგრამაში გაიზარდა სასცენო მეტყველების კომპონენტი, რომელიც გადანაწილდა 7 სემესტრზე მარტივიდან რთული საშემსრულებლო ამოცანების დაუფლების გათვალისწინებით. სტუდენტებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორია საშემსრულებლო კურსების სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა მშობლიურ ენაზე. ამ მიზნით, პროგრამის თითოეული სასწავლო კურსისთვის შექმნილია რიდერები ელექტრონული და ბეჭდური ვერსიების სახით.

სტუდენტებისთვის პრიორიტეტულია საშემსრულებლო პრაქტიკის გავლა პროფესიულ თეატრებში, რომელიც ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად. დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, მემორანდუმები ითვალისწინებს სტუდენტების რაოდენობას, ასევე პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას. საწარმოო პრაქტიკა ხელს უწყობს პროფესიულ ზრდას - რეჟისორის, სამსახიობო დასის სამუშაო პროცესზე დაკვირვებით. ეს იძლევა საშუალებას იმისა, რომ სტუდენტები უკეთ ეცნობიან დარგის სპეციფიკას, სასწავლო კურსების შედეგად შეძენილი ცოდნისა და პრაქტიკული უნარების ერთმანეთთან დაკავშირებას. საშემსრულებლო პრაქტიკის ერთგვარი კომპონენტია კურიკულუმის გარე აქტივობებში მონაწილეობა, რომლებიც ფინანსდება უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერით. ზემოაღნიშნული გარემოებები უზრუნველყოფენ შემოქმედებით და შემეცნებით საქმიანობაში სტუდენტების ჩართვას, შემოქმედებითი პროექტების მომზადების ხელშეწყობას, პრაქტიკული უნარების განმავითარებელი დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებას.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „აუდიოვიზუალური ხელოვნება (კინორეჟისურა; ტელერეჟისურა)“

კინორეჟისორისა და ტელერეჟისორის დასაქმების უმთავრესი სფერო ინდივიდუალური შემოქმედებაა. შრომის ბაზარზე ამ პროფესიის წარმომადგენელთა პირადი ინტელექტი, პროფესიონალიზმი და მაღალი პასუხისმგებლობა ფასობს ყველაზე ძვირად. კინო-ტელე სარეჟისორო მიმართულების კურსდამთავრებულები აქტიურად არიან ჩართული აჭარის მედია დაწესებულებებში. ეს სეგმენტი მოიცავს როგორც საზოგადოებრივ, ასევე კერძო მაუწყებლობას, ბეჭდურ მედიას და სხვა. მხატვრული კინოს სარეჟისორო მიმართულების კურსდამთავრებულები გარდა სახელოვნებო დაწესებულებებში დასაქმებისა, ჩართული არიან სხვადასხვა პროექტებში. ძირითადი დამსაქმებელი ჩვენს რეგიონში „აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ტელევიზია და რადიო“, „ტელეარხი - 25“, „ტელეკომპანია - ერა“ რეგულარულად ასაქმებენ ჩვენს კურსდამთავრებულებს.

პროგრამის განვითარებისათვის **დამსაქმებელთა** შეხვედრებისა და გამოკითხვების შედეგად ირკვევა, რომ ისინი ჩართულები არიან სტუდენტთა პრაქტიკის პროცესის დაგეგმვაში, დადებითად აფასებენ აღნიშნულ კომპონენტს და გამოთქვამენ ამ მიმართულებით შემდგომი თანამშრომლობის მზადყოფნას. დამსაქმებლებიდან რამდენიმე წარმომადგენელი მონაწილეობდა კინორეჟისურა/ტელერეჟისურა საბაკალავრო პროგრამის შემუშავების პროცესში. ისინი აღნიშნავენ კურსდამთავრებულთა მზაობას თვითგანვითარებისა და თვითგანათლებისათვის. ამასთანავე მათ მიაჩნიათ, რომ მაღალია

კურსდამთავრებულთა თეორიული მომზადება, მაგრამ არასაკმარისია მათი პრაქტიკული უნარები. დამსაქმებლები თვლიან, რომ მიზანშეწონილია პირდაპირი კავშირი ჰქონდეთ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, რომელიც ამზადებს შესაბამისი დარგის სპეციალისტებს. დამსაქმებელთა სურვილის გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად პრაქტიკული საქმიანობა იწყება აუდიტორიაში სასწავლო კურსებით გათვალისწინებული საათებიდან ცალკეული შესასწავლი საკითხების შესაბამისად. სპეციალობის სპეციფიკიდან გამომდინარე და ამ სფეროში საქმიანობისთვის აუცილებელი შემოქმედებითი უნარების განვითარების მიზნით, უმეტესწილად, სასწავლო კურსებში პრიორიტეტული გახდა პრაქტიკულ-შემოქმედებითი დავალებების შესრულება, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს ცალკეული ამოცანების გადაწყვეტისას შეიძინონ კონკრეტული უნარ-ჩვევები და გამოიყენონ კონკრეტულ სიტუაციაში. პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენისა და განვითარებისათვის გათვალისწინებულია პრაქტიკული-გასვლითი (არასააუდიტორიო) მეცადინეობებიც. სტუდენტთა პრაქტიკული უნარების გაძლიერება და განმტკიცება ხორციელდება პლენერზე მუშაობით და სასწავლო პრაქტიკის კომპონენტით.

კურსდამთავრებულები აღნიშნავენ, რომ მათ გამოადგათ ისეთი უნარები როგორცაა თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მაღალი დონე, არასტანდარტულ სიტუაციებში სწრაფი გადაწყვეტილების მიღების უნარი. მათი სურვილებით პროგრამას პროგრამას დაემატა რუსული, ასევე, იტალიური, გერმანული, ფრანგული ენის (B1; B2) არჩევითი კურსები.

სტუდენტებიც, ისევე როგორც დამსაქმებლები, აღნიშნავენ კოლექტიური თანამშრომლობის, კოლაბორაციულ პროექტებში ჩართულობის, მეტი პრაქტიკული დავალებების შესრულების აუცილებლობას, რაც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გათვალისწინებულ იქნა პროგრამის მოდიფიცირების პროცესში. სტუდენტების მოთხოვნით გაიზარდა სასწავლო კურსის „კინო-ტელე მხატვრობის საფუძვლები“ მოცულობა, ნაცვლად 5-ის კრედიტისა გახდა 7 კრედიტი, შეიცვალა კურსის შინაარსი და უფრო მოქნილი და საინტერესო გახდა. მათი სურვილის შესაბამისად ინგლისური ენის სწავლებაში გაიზარდა პრაქტიკული კომპონენტის მნიშვნელობა, ხოლო არჩევით ბლოკს დაემატა რუსული ენის კურსი (B1; B2 დონე).

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „მხატვრული კინოს რეჟისურა“

თვითშეფასების სამუშაო ჯგუფმა პროგრამის განახლების პროცესში, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან კონსულტაციების საფუძველზე, შეიტანეს ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში.

კურიკულუმს დაემატა ახალი სასწავლო კურსები: „მუსიკა კინოში“; „ფილმის სტრუქტურული ანალიზი“; „სამსახიობო ხელოვნება (თეორია და პრაქტიკა); „კინომხატვრობა“; კინოდრამატურგია. სტუდენტთა გამოკითხვების გათვალისწინებით მეტი ყურადღება მიენიჭა სპეციალობით თეორიულ-პრაქტიკულ კურსებს: „ფილმწარმოება“, „მონტაჟის ხელოვნება (თეორია და პრაქტიკა), ოპერატორის ხელოვნება (თეორია და პრაქტიკა). სპეციალობის კომპონენტის გაძლიერების მიზნით კი ზოგიერთი თეორიული კურსი კი გადანაწილ იქნა არჩევითი კურსების ბლოკში (გლობალიზაცია და თანამედროვე პოპულარული კულტურები; კულტურის პროექტების მენეჯმენტი; მეტყველება; ინგლისური). სტუდენტები აღნიშნავენ ქართულ ენაზე დარგობრივი ლიტერატურის სიმწირეს, ამ ნაწილის გასაუმჯობესებლად შეძენილ იქნა უახლესი ლიტერატურა, განახლდა რიდერები, რაც აისახა სასწავლო კურსების სილაბუსებში.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „არქიტექტურა“

არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია (შემდგომში პროგრამა) ქვეყნის, რეგიონისა და საზოგადოების ინტერესების შესატყვისი მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება - საერთო კულტურულ-სოციალურ და პირადი და პროფესიული კომპეტენციის ფორმირება, რომელიც კურსდამთავრებულს საშუალებას აძლევს წარმატებით იმუშაოს არჩეულ სფეროში და იყოს მდგრადი შრომის ბაზარზე.

პროგრამის განვითარებისათვის განხორციელდა შრომის ბაზარზე არსებული სიტუაციის ანალიზი, ბაზრის პოტენციური შესაძლებლობებისა და საჭიროებების კვლევა, რომელშიც ჩართული იყვნენ შესაბამისი პროფილის დაწესებულებები. ახალი სტანდარტების შესაბამისად პროგრამის სააკრედიტაციოდ მზადების პროცესში გათვალისწინებულ იქნა დამსაქმებელთა შეხედულებები, რაც თანხვედრაში აღმოჩნდა პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფის მიზნებთან და ამოცანებთან. დამსაქმებლებთან თანამშრომლობითა და დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით განისაზღვრა თითოეული სასწავლო კურსის ფორმატი (ლექცია, სემინარი, პრაქტიკული მუშაობა, სახელოსნოში მასალაში მუშაობა, სავლე და საწარმოო პრაქტიკა და სხვ.). მაგალითად სპეციალობის შემოქმედებით-პრაქტიკული ხასიათის სასწავლო კურსებში (ხატვა, ფერწერა, მოცულობით-სივრცითი კომპოზიცია, ინტერიერის დიზაინის საფუძვლები, კონსტრუქციები, შენობების საინჟინრო აღჭურვა, შესავალი სპეციალობაში, არქიტექტურული გეგმარება) დომინირებს პრაქტიკული მეცადინეობები. ზოგიერთი კურსის ფარგლებში გათვალისწინებულია ლექცია და სემინარი (მსოფლიო ხელოვნება, ქართული ხელოვნების ისტორია, თანამედროვე არქიტექტურის ისტორია). პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკის კომპონენტს (საწარმოო საპროექტო, აზომვითი პრაქტიკა), რომელიც, გაფორმებული მემორანდუმების საფუძველზე ხორციელდება შპს“ARCHI-TON”, შპს “არქ-სალონ“-ი, შპს „არქიტექტურულ-საპროექტო კომპანია სტოა“, შპს „თ-არქიტექტურა“, შპს „BWC“, შპს“ოთხი ოთახი“.

მიმდინარეობს მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა დამსაქმებლებთან, რაც გამოიხატება მუდმივი ინფორმაციის გაზიარებით ჩვენი სტუდენტების კომპეტენციების და მიღწევების შესახებ. ძირითადად, დამსაქმებლების პროფესიული მოთხოვნები შემდეგია: ახალგაზრდა სპეციალისტების პრაქტიკული უნარ-ჩვევები არქიტექტურული პროექტირების მიმართულებით; კომპიუტერული ტექნოლოგიების ცოდნა; არქიტექტურის სფეროსთან დაკავშირებულ კანონებისა და რეგულაციების ცოდნა; ანაზომი ნახაზების სწორი და მაღალი სიზუსტით შესრულება, კულტურული მემკვიდრეობისადმი პატივისცემა და პროფესიონალური მიდგომა.

გამოკითხვის კვლევის/ანალიზის შედეგად შინაარსობრივად გაძლიერდა: კომპიუტერული კურსი; შეიცვალა პრაქტიკის კომპონენტის შინაარსი; დიფერენცირდა და დაემატა კრედიტები: ცალკე გამოიყო საპროექტო, სავლე (გეოდეზია) და აზომვითი პრაქტიკა, ცალკე კომპონენტად ჩამოყალიბდა პრაქტიკა არქიტექტურული კონსტრუქციების მიმართულებით. შემოქმედებითი საშემსრულებლო უნარების დახვეწის მიზნით გაძლიერდა - კომპოზიციის სასწავლო კურსები, შეიცვალა მთელი რიგი კურსების შინაარსი პროგრამის მოთხოვნებიდან გამომდინარე.

სტუდენტთა გამოკითხვების შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ სურდათ ზოგიერთ საგანში საათების რაოდენობის შეცვლა და მეტი აქცენტის გადატანა პრაქტიკულ მეცადინეობებზე. სტუდენტების აზრით სასწავლო კურსებისთვის „გეოდეზია“, „ფერწერა“, მაკეტირება 2, „არქიტექტურული გეგმარება 3“ არ არის საკმარისი სემესტრული დატვირთვა, მათ სჭირდებათ მეტი სააუდიტორიო და დამოუკიდებელი საათი სასწავლო მასალის მომზადებისათვის, რაც გათვალისწინებულ იქნა სასწავლო კურსის სილაბუსებში. სტუდენტთა გამოკითხვების საფუძველზე ყოველწლიურად მიმდინარეობს სასწავლო ლიტერატურის განახლება, რიდერებისა და სალექციო კურსების სრულყოფა ქართულ

ენაზე. **კურსდამთავრებულებთან** შეხვედრების საფუძველზე მოდიფიცირებულ პროგრამას დაემატა “დარგობრივი სამართლის კურსი” და მომზადდა „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების“ კურსი.

საბაკალავროსაგანმანათლებლო პროგრამა „მოდის დიზაინი“

პროგრამის მოდიფიკაციის განმახორციელებელი ჯგუფის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტთა, დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვების საფუძველზე განხორციელდა სილაბუსებში ცვლილებების შეტანა და მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა. საგანმანათლებლო პროგრამაში კრედიტების განაწილება მოხდა სასწავლო კურსის შინაარსისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით. გარე შემფასებელთა და დამსაქმებელთა მოთხოვნით სასწავლო კურსებში - „ქსოვილების კომპოზიცია და მასალაში შესრულება“ და „კერვის ტექნიკა, ტექნოლოგია, კონსტრუირება“ დაემატა ქსოვილისა და სამოსის ერგონომიკის საკითხები, დიზაინის სფეროს თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით Adobe Photoshop; Adobe Illustrator-ს დაემატა სასწავლო კურსი Adobe After Effects-ი; კურსდამთავრებულთა გამოკითხვებით ირკვევა, რომ მათ გააჩნიათ გუნდური მუშაობის უნარი, პროფესიული საქმიანობის სტანდარტული ამოცანების გადაჭრის უნარი, შეუძლიათ საქმიანობის დაგეგმვა, დამოუკიდებლად მუშაობა, გააჩნიათ კარიერული ზრდისადმი მიდრეკილება. თუმცა აღნიშნავენ, რომ კერძო საქმიანობის წამართვისათვის მათ ასევე გამოადგებოდათ სამართლებრივი დოკუმენტაციის გამოყენებისა და მეწარმეობის საფუძვლების ცოდნა. აქედან გამომდინარე პროგრამაში ბიზნეს მიმართულების გაძლიერების მიზნით შეტანილ იქნა სასწავლო კურსი „მარკეტინგის საფუძვლები“.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „სამოსის დიზაინი“

პროგრამის სტუდენტთა გამოკითხვებით ირკვევა, რომ მათთვის გასაგები და ნათელია თითოეული სასწავლო კურსის მიზანი და შედეგები, სავსებით მისაღებია სასწავლო პირობები (მატერიალურ ტექნიკური ბაზა). ჩატარებული ანალიზის საფუძველზე სასწავლო კურსების შეფასება ძირითადად დადებითია, მათი აზრით ყველა კურსი ემსახურება შემოქმედებითი იდეებისა და ტექნოლოგიური პროცესების დაუფლებას. პრაქტიკულ-სამემსრულებლო ხასიათის საგნებთან ერთად აღნიშნავენ „ხელოვნებათმცოდნეობის ზოგადი ანალიტიკური კურსი“-ის მნიშვნელობას, რადგან სამაგისტრო ნაშრომის თეორიული ნაწილის შესასრულებლად მათ ესაჭიროებათ კვლევითი, მხატვრული ნიმუშის აღწერისა და ინტერპრეტაციის უნარები. მათთვის ასევე მნიშვნელოვანია სამეცნიერო, სასწავლო თანამედროვე ლიტერატურის გამოყენების უნარების ფლობა, რაც მისაწვდომია ბხსუ-ს საბიბლიოთეკო ფონდითა და ელექტრონული რესურსებით. სტუდენტები აღნიშნავენ სპეცინგლისური ენის სწავლებაში პრაქტიკული კომპონენტის მნიშვნელობის გაზრდას, რაც აისახა სილაბუსში. დამსაქმებლები აღნიშნავენ მაგისტრატურის პროგრამის კურსდამთავრებულთა ცოდნის დონეს, დამოუკიდებელი და გუნდური მუშაობის უნარებს, თუმცა თვლიან, რომ სასურველია პრაქტიკული კომპონენტის გაზრდა და მეტი კომუნიკაცია დამსაქმებელ დაწესებულებებთან, რაც გათვალისწინებულია პროგრამის სტრუქტურასა და სასწავლო კურსების პრაქტიკულ ნაწილში. კურსდამთავრებულთა გამოკითხვების გათვალისწინებით, პროგრამაში ჩართულია მარკეტინგული კომუნიკაციებისა და ფოტოხელოვნების სასწავლო კურსები. კულტურის მენეჯმენტის კურსი გათვალისწინებულია არჩევითი დისციპლინების ბლოკშიც.